


**სექტორის მიმოხილვა**

**ზოგადი ტენდენციები**

COVID-19-მა არაერთი ქვეყანა დააყენა სასურსათო უსაფრთხოების რისკის წინაშე, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავსი, იმპორტზე დამოკიდებული განვითარებადი ქვეყნები. საქართველოს არაერთმა სავაჭრო პარტნიორმა დააწესა შეზღუდვები ვაჭრობაზე, რამაც გაართულა რიგი ბურღულეული და ბოსტნეული პროდუქტების მიწოდება, რაც სურსათის ფასების ზრდის რისკს ქმნის. მართალია, ჯერჯერობით აღრეა პანდემიით გამოწვეული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებზე საუბარი, თუმცა ის ფაქტიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ხორბლის წმინდა იმპორტიორია და მთავრობამ უკვე დაასუბსიდირა ხორბლის იმპორტი. მეტიც, საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის მონაცემებით, საქართველო და აშშ შეთანხმდნენ 30 ათასი ტონა ამერიკული ხორბლის იმპორტზე საქართველოში. 14 ათასი ტონა უკვე შემოვიდა, დანარჩენი კი წლის ბოლომდე შემოვა. იმპორტის ბაზრების დივერსიფიცირება უადრესად მნიშვნელოვანია, თუმცა 30 ათასი ტონა საქართველოს ხორბლის მთლიანი იმპორტის საკმაოდ მცირე ნაწილია.


**ხორბლის იმპორტი**



წყარო: UN Comtrade; შენიშვნა: 2020 წლის რიცხვები მოიცავს იანვარ-ოქტომბრის პერიოდს

ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოს ყოველწლიურად 500 ათასი ტონა ხორბალი შემოჰქონდა, რაზეც საშუალოდ 100 მლნ. აშშ დოლარი იხარჯებოდა. ხორბლის დიდი ნაწილი რუსეთიდან შემოდის და საიმპორტო ბაზრები საკმაოდ კონცენტრირებულია. 2019 წელს რუსეთის წილი ხორბლის მთლიან იმპორტში 87% იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წილი 80-100% შორის მერყეობს, მას კლების ტენდენცია აქვს, რაც ბაზრის დივერსიფიკაციის ნიშანი შეიძლება იყოს. საქართველოს მეორე ყველაზე მსხვილი პარტნიორია ყაზახეთი (56 ათასი ტონა), რომელზეც 2019 წელს მთლიანი იმპორტის 11% მოდიოდა. ყაზახეთს მოსდევს აშშ (1.02%), ირანი (0.05%) და თურქეთი (0.01%). 2019 წელს მომწოდებელთა შორის იყო საბერძნეთი, ავსტრია, გერმანია და საფრანგეთი, თუმცა მათი წილი მთლიან იმპორტში უმნიშვნელო იყო.

**რუსეთის წილი ხორბლის იმპორტში**



წყარო: Trademap, 2020 წ.

## ფასები

### ადგილობრივი ფასები


თვიურ ჭრილში, 2020 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში, ქვეყანაში ფასების დონე სტაბილური იყო. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) 2020 წლის ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, უმნიშვნელოდ, 0.89%-ით გაიზარდა. 2020 წლის ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, ზრდამ 0.8% შეადგინა, მაშინ როდესაც სექტემბრის ზრდა აგვისტოსთან შედარებით 0.7% იყო.

თვიურ ჭრილში, 2020 წლის სექტემბერ-ნოემბერში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიის ფასებიც სტაბილური იყო. 2020 წლის ნოემბერში, ამავე წლის ოქტომბერთან შედარებით, სურსათის ფასები მცირედით, 1.8%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც ფასები ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, 0.9%-ით, ხოლო სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, 0.5%-ით გაიზარდა.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (სექტემბერი-ნოემბერი 2020)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (სექტემბერი-ნოემბერი 2020)




წყარო: საქსტატი, 2020 წ. შენიშვნა: ინდექსის მნიშვნელობა წინა თვეში უდრის 100-ს.

წლიურ ჭრილში, 2020 წლის სექტემბერ-ნოემბერში CPI გაიზარდა. მითითებულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 3.8% იყო, FPI-ის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ამავე პერიოდში სექტემბერში დაფიქსირდა და 6.3% შეადგინა.

2020 წლის ნოემბერში, წინა წელთან შედარებით, FPI-ის ზრდამ 6% შეადგინა და მთლიანი CPI 1.92 პროცენტული პუნქტით გაზარდა. ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ქვე-ჯგუფებში:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ზეთი და ცხიმი (23.2% ო)

ყავა, ჩაი და კაკაო (12.2% ო)




თევზი (9.1% ო)

წყარო: საქსტატი, 2020 წ.

## უფრო ვრცლად ფასებზე: მცენარეული ზეთი

წინა წელს ფასების განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ზეთისა და ცხიმის კატეგორიაში. ამ კატეგორიაში 2020 წლის ნოემბერში, 2019 წლის ნოემბერთან შედარებით, ფასები მკვეთრად, 23%-ით, 2020 წლის ოქტომბერთან შედარებით კი, 4.1%-ით გაიზარდა. საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის ნოემბერში, წინა წელთან შედარებით, ყველაზე მეტად მზესუმზირის ზეთის ფასი (35.9%) გაიზარდა. მზესუმზირის ზეთის ფასების ზრდა შესაძლოა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. სხვა სურსათის პროდუქტების მსგავსად, საქართველოს მზესუმზირის ზეთის ბაზარიც იმპორტზეა დამოკიდებული. მეტიც, ამ პროდუქტის 90% რუსეთიდან შემოდის, შესაბამისად, ფასების დინამიკაზე რუსული ბაზრის ტენდენციები მოქმედებს. 2020 წლის მარტში რუსეთში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებამ [ადგილობრივი ფასები გაზარდა](#). წარმოების ხარჯების ზრდამ გაზარდა პროდუქტის ფასებიც. ამას ისიც დაემატა, რომ ზაფხულში არახელსაყრელი ამინდის გამო მზესუმზირის მოსავალი მოსალოდნელზე ნაკლები იყო, რამაც კიდევ უფრო [გაზარდა რუსული მზესუმზირის ზეთის ფასები](#). რუსულ ბაზარზე დაფიქსირებულმა ზრდამ იმოქმედა მზესუმზირის ზეთის ქართული ფასების ზრდაზეც. საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტენდენციები დამამძიმებლად არ გამოიყურება.

2020 წლის ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, მცენარეული ზეთის ფასები 14.5%-ით გაიზარდა და 2014 წლის მარტის შემდეგ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, მაშინ როდესაც წინა წელთან შედარებით ზრდამ 31% შეადგინა (FAOSTAT, 2020 წ.). მზესუმზირის ზეთის ფასები საერთაშორისო ბაზრებზეც გაიზარდა, რადგან [ექსპორტიორმა ქვეყნებმა მიწოდებაზე შეზღუდვები დააწესეს](#). საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომდევნო თვეებში ქართველ მომხმარებლებს კიდევ უფრო გაუძვირდებათ მცენარეული, მათ შორის მზესუმზირის ზეთი.




წყარო: საქსტატი, 2020 წ.

## საერთაშორისო ფასები

2020 წლის სექტემბერ-ნოემბერში საერთაშორისო ფასები გაიზარდა როგორც თვიურ, ისე წლიურ ჭრილში. 2020 წლის ნოემბერში, ამავე წლის ოქტომბერთან შედარებით, სურსათის ფასები ინდექსი, რომელსაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) აქვეყნებს, 3.9%-ით გაიზარდა. ამავე თვეში, 2019 წლის ნოემბერთან შედარებით, ფასები 6.5%-ით გაიზარდა, რაც 2014 წლის დეკემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2020 წლის ნოემბერში გაიზარდა მცენარეული ზეთის (31%), ბურღულეულის (20%), შაქრისა (11%) და რძის პროდუქტების (3%) ფასები. მართალია, ხორცის ფასები წლიურ ჭრილში მკვეთრად, 14%-ით შემცირდა, თუმცა თვიურ ჭრილში საქონლისა და ღორის ხორცის ფასები გაიზარდა, ფრინველის ფასები კი შემცირდა.

ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა უარყოფითმა ეკონომიკურმა შედეგებმა განაპირობა.



წყარო: FAO, 2020 წ.


## საერთაშორისო ვაჭრობა

2020 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა 3,016 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე (3,402 მლნ. აშშ დოლარი) 11%-ით ნაკლებია. თუმცა ამავე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 9%-ით, 728 მლნ. აშშ დოლარიდან 792 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა.


მთლიანი იმპორტი 16%-ით, 8,544 აშშ დოლარიდან 7,186 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა. იგივე ტენდენცია გვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის შემთხვევაშიც, რომელიც 2020 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში უმნიშვნელოდ, 0,2%-ით, 995 მლნ. აშშ დოლარიდან 933 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ COVID-19-ის პანდემია მთელ მსოფლიოში უარყოფითად აისახა შემოსავლებზე და სავაჭრო შეზღუდვების მიზეზიც გახდა, საერთაშორისო ვაჭრობის შემცირება მოულოდნელი არ ყოფილა. ქართული ლარის გაუფასურება კიდევ უფრო ზრდის წნეხს იმპორტზე. მართალია, მთლიანი მოთხოვნა შემცირდა, მაგრამ ამას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, რადგან სურსათი პირველადი მოთხოვნის პროდუქტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა და, თუ ქვეყანა მოახერხებს მზარდი ტენდენციის შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში, ეს დადებითად აისახება საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაზე.

მთლიანი და აგრო ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)



მთლიანი და აგრო იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მონაცემები მოიცავს სურსათსაც.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე უფრო გაიზარდა, ვიდრე გადამამუშავებული პროდუქციის. უფრო ფართო ეკონომიკურ კატეგორიებს თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა შინამეურნეობებისთვის განკუთვნილი პირველადი სურსათისა და სასმელების ექსპორტში (36%). ამ კატეგორიას მოსდევს ინდუსტრიული დანიშნულების პირველადი სურსათისა და სასმელებისა (25%) და ინდუსტრიული დანიშნულების გადამამუშავებული სურსათისა და სასმელების (0.4%) კატეგორიების ექსპორტის ზრდა. ამავე პერიოდში შინამეურნეობებისთვის განკუთვნილი გადამამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტი მცირედით, 1%-ით შემცირდა.

მართალია, ექსპორტის ზრდა დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე და ხელს უწყობს სურსათის იმპორტისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზებას, მაგრამ გადამამუშავებული სურსათის ექსპორტის ზრდა ქართველ ექსპორტიორებსა და ღირებულებათა ჯაჭვის სხვა მონაწილეებს მეტი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას მისცემდა. პირველადი პროდუქტების დამატებული ღირებულება ნაკლებია, ამიტომ მწარმოებლებმა, ექსპორტიორებმა და ღირებულებათა ჯაჭვის სხვა მონაწილეებმა ძალისხმევა სწორედ გადამამუშავებული პროდუქციის ექსპორტისკენ უნდა მიმართონ.



წყარო: საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი-იმპორტის მონაცემები მოიცავს სურსათსაც; \* 2020 წლის მონაცემები მოიცავს იანვარ-აგვისტოს პერიოდს.

## პოლიტიკის მიმოხილვა

### საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი პარლამენტის მესამე მოსმენისთვის მოამზადა. 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა შემცირდა, თუმცა მთავრობის პროგნოზით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 2021 წელს 5% იქნება, თუმცა ზრდა დამოკიდებული იქნება COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <https://www.mof.ge/5355>

### იმპორტის ჩანაცვლება და ექსპორტის გაზრდა

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა მომდევნო ოთხი წლის პრიორიტეტად იმპორტის ჩანაცვლება და ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტის გაზრდა გამოაცხადა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ფერმერთა განათლებაზე და სექტორში აგრონომებისა და ვეტერინარების რაოდენობის ზრდაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <https://bm.ge/ka/article/importis-chanacvleba-da-eu-s-bazarze-egsportis-gazrda---nino-wilosani-prioriteteb-asaxeles-/72248/>

### მიწის რეფორმის მიმდინარეობა

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, მიწის რეფორმა სათანადოდ არ მიმდინარეობს. მიწის სააგენტომ, რომელიც 2020 წელს შეიქმნა, ვერ მოახერხა საქართველოს მიწის ფონდისა და მიწის კატეგორიების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რაც სოფლის მეურნეობის სექტორში ნებისმიერი საქმიანობის აუცილებელი წინაპირობაა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <https://1tv.ge/news/nino-wilosani-miwis-reforma-satanadod-ar-mimdinareobs/>